

# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 6 5 1

ქ. ბათუმი, 06 ივლისი 2017 წ

### ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ საქმისწარმოებაში ელექტრონული სისტემის დანერგვის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის №64 დადგენილების და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს N19 დადგენილების შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმისწარმოება განხორციელდეს ელექტრონული სისტემის ([mms.gov.ge](http://mms.gov.ge)) გამოყენების საშუალებით წინამდებარე ბრძანებით დადგენილი პირობების შესაბამისად.

2. მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ელექტრონული სისტემა გულისხმობს:

ა) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით შემოსული მატერიალური/ელექტრონული განაცხადის სკანირებას/ელექტრონულ სისტემაში ([mms.gov.ge](http://mms.gov.ge)) ასახვას და ასახული განაცხადის გადაგზავნას უშუალო შემსრულებლამდე ან პირიქით;

ბ) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებს შორის მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ელექტრონული დოკუმენტების გაცვლას (გაგზავნას ან/და მიღებას);

გ) მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების ელექტრონულ სისტემაში ([mms.gov.ge](http://mms.gov.ge)) გაშვებას და მათი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში ([eDocument](http://eDocument)) ასახვას ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ.

3. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილება უზრუნველყოფს მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით შემოსული წერილობითი განაცხადის რეგისტრაციას. განაცხადს ელექტრონულ სისტემაში ([mms.gov.ge](http://mms.gov.ge)) ენიჭება სარეგისტრაციო კოდი. სარეგისტრაციო კოდის მინიჭება ხდება შემდეგი პრინციპის დაცვით:

3.1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო კოდი შედგება სარეგისტრაციო ნომრისაგან და თარიღისაგან:

3.1.1. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით შემოსულ დოკუმენტაციას სარეგისტრაციო ნომერი ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ენიჭება უწყვეტად 01-დან n-მდე;

3.1.2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით შემოსული დოკუმენტაციისათვის სარეგისტრაციო კოდის

მინიჭებისას, უწყვეტად იწერება ჯერ ელექტრონული სისტემის ([mms.gov.ge](http://mms.gov.ge)) მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, ხოლო დოკუმენტის თარიღი იწერება სარეგისტრაციო ნომრისაგან გამოცალკევებით. თარიღის მინიჭებისას ჯერ აღინიშნება რიცხვი, შემდეგ თვე, ხოლო შემდეგ წელი;

**3.1.3. ქ.** ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით შემოსული ყველა განაცხადის თარიღი არის დრო (რიცხვი, თვე და წელი), როცა შემოვიდა დოკუმენტაცია.

**4. ქ.** ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით შემოსული განაცხადის მიღებისას რეგისტრატორი ვალდებულია შეამოწმოს შემდეგი საკითხები:

ა) სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი განაცხადი არის თუ არა ხელმოწერილი (რეგისტრატორი არ ამოწმებს ხელმოწერის ნამდვილობას);

ბ) სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ განაცხადზე თანდართული განმარტებითი ბარათი არის თუ არა ხელმოწერილი (რეგისტრატორი არ ამოწმებს ხელმოწერის ნამდვილობას) და ბეჭედდასმული;

გ) სარეგისტრაციოდ წარმოდგენილ განაცხადზე თანდართული დისკების რაოდენობა.

**5. ქ.** ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით შემოსული განაცხადის მიღება განხორციელდეს შემდეგი პრინციპის დაცვით:

**5.1. ქ.** ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს მომართავს წერილობითი ფორმით პირადად ან უფლებამოსილი პირის მეშვეობით (რომლის უფლებამოსილება დადასტურებული იქნება ნოტარიული წესით გაცემული მინდობილობით), წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადის რეგისტრაცია არ განხორციელდება;

**5.1.1.** მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით შემოსული წერილობითი ფორმის განაცხადს თან უნდა დაერთოს განმარტებითი ბარათი, სადაც მითითებული იქნება ინფორმაცია დამკვეთის ან/და მინდობილი პირის, დოკუმენტაციის შემდგენი პირების (არქიტექტორი, სპეციალისტი და ა.შ.) შესახებ. განმარტებითი ბარათი უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული;

**5.2. ქ.** ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაციის მოწოდება განხორციელდეს ელექტრონული ფორმით - CD R დისკის ფორმატზე (დისკის ბაინდერით) - 3 ცალად. განმცხადებელმა, ასევე დამატებით უნდა წარმოადგინოს 1 ცალი CD R დისკი თავისუფალ მდგომარეობაში;

**5.3. ქ.** ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით შემოსული განაცხადის მიღებისას რეგისტრატორი უფლებამოსილია 50 მეგაბაიტამდე მოცულობის ინფორმაცია ატვირთოს ელექტრონულად განაცხადზე დანართის სახით, ხოლო ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებს დისკები მიეწოდება ამ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად;

**5.4. ქ.** ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით შემოსული განაცხადის რეგისტრაციისას, განმცხადებელს გადაეცემა ხელმოწერილი სარეგისტრაციო ფურცელი;

**5.5. ქ.** ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით რეგისტრირებული განაცხადის რეგისტრაციის ნომერი და

ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილების რეგისტრატორის ხელმოწერა დაფიქსირდება დისკზე (ყველა ეგზემპლარზე), მოთავსდება დისკის ბაინდერში. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილება უზრუნველყოფს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილი პირებისადმი დისკების გადაცემას, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით სარეგისტრაციო ჟურნალში.

6. დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის შემთხვევაში განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას CD R დისკები ამ ბრძანების მე-5 პუნქტის 5.2. ქვეპუნქტის მიხედვით. ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელზე (დისკზე) ჩაწერილი იქნება სრული მოცულობის ინფორმაცია, მათ შორის დადგენილი ხარვეზის შესწორების დოკუმენტაცია. საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, თავისუფალ დისკზე ჩაიტვირთება მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით შეთანხმებული დოკუმენტაციის საბოლოო ვერსია, ასევე აღნიშნულ საკითხზე მიღებული ყველა სამართლებრივი აქტი და მიეწოდება განმცხადებელს.

7. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შედეგების შესახებ განმცხადებელს ელექტრონული სისტემის ([mms.gov.ge](http://mms.gov.ge)) საშუალებით ეგზავნება sms შეტყობინება. sms შეტყობინების მიღების შემდეგ განმცხადებელი ვალდებულია გამოცხადდეს და ჩაიბაროს დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის ადრესატისადმი უშუალოდ (ხელზე) ჩაბარებას ახდენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილების საამისოდ უფლებამოსილი პირი, რომელიც ამ მიზნით აწარმოებს შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალს. ასევე საქმისწარმოების განყოფილება უფლებამოსილია დოკუმენტაცია გააგზავნოს ფოსტის მეშვეობით.

8. მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიიდან გასული და შიდა დოკუმენტაციისათვის სარეგისტრაციო კოდის მინიჭება განხორციელდეს „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ერთი სარკმლის პრინციპის ფუნქციონირებისათვის ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 18 სექტემბრის N567 ბრძანებით განსაზღვრული გასული და შიდა დოკუმენტაციის სარეგისტრაციო წესის შესაბამისად.

9. მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით გამოცემული ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების სარეგისტრაციო კოდის მინიჭება განხორციელდეს „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ერთი სარკმლის პრინციპის ფუნქციონირებისათვის ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 18 სექტემბრის N567 ბრძანების მე-2 პუნქტის 2.1. ქვეპუნქტის შესაბამისად.

10. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დისკების შენახვას უზრუნველყოფენ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საამისოდ უფლებამოსილი პირები. დისკები უნდა ინახებოდეს ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ დაცვას დაზიანებისაგან, გარემოს მავნე ზემოქმედებებისაგან და გამორიცხავენ დაკარგვას.

11. ინფორმაციის ელექტრონული მატარებელის (დისკის) დაზიანების შემთხვევაში დაინტერესებული პირი წერილობითი ფორმით მომართავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილებას, წარმოად-

გენს CD R დისკს (1 ცალი) თავისუფალ მდგომარეობაში, რომელზედაც ჩაიწერება მოთხოვნილი ელექტრონული ინფორმაციის საბოლოო ვერსია და მიეწოდება განმცხადებელს.

**12.** ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოება დასრულდეს „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ერთი სარკმლის პრინციპის ფუნქციონირებისათვის ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2014 წლის 18 სექტემბრის N567 ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

**13.** დაევალოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურს (ი. ახალაძე), ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურს (ზ. მამუჭაძე), ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს (ნ. დეკანაძე) ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის ([mms.gov.ge](http://mms.gov.ge)) დანერგვის უზრუნველსაყოფად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

**14.** წინამდებარე ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე, ასევე საჯარო გაცნობისათვის წარსადგენი დოკუმენტების გამოქვეყნების ადგილზე (ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე).

**15.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**16.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი